



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბიოტექნოლოგიის რესპუბლიკური საკოორდინაციო ცენტრი

ბიოტექნოლოგიის რესპუბლიკური საკოორდინაციო ცენტრი, დაარსდა 1986 საქართვე. მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებით საქართვე. მეცნ. აკად. მცენარეთა ბიოქიმ. ინ-ტის ბაზაზე.

მისი მიზანია რესპუბლიკაში ბიოტექნოლ. განვითარება. ცენტრი კოორდინაციას უკეთებს შემდეგი დარგების მუშაობას: ტექ. ბიოქიმიას, მიკრობიოლოგიას, საინჟინრო ენზიმოლოგიას, ბიოორგან. ქიმიას, გენურ ინჟინერიას, ცხოველური და მცენარეული უჯრედის კულტურების გამოყენებას, რესპუბლიკაში ჩატარებული სამეცნ. კვლევის შედეგების დროულად დანერგვას და ამ დარგში მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას. ბ. რ. ს. ც-თან შეიქმნა საუწყებათაშორისო ბიოტექ. სამეცნ. საბჭო, რ-ის შემადგენლობაში 22 წევრია; საბჭოს პრეზიდიუმი შედგება თავ-რის, მოადგილისა და მდივნისაგან. საბჭოში გაერთიანებულია 13 სამეცნ.-კვლ. ინ-ტი და ორგანიზაცია: მცენარეთა ბიოქიმიის ინ-ტი, თსუ, საქართვე. ეკონ. სამინისტრო, საქართვე. სოფლისა და კვების მრეწველობის სამინისტრო, საქართვე. ტექნიკური უნ-ტი, საქართვე. აგრარული უნ-ტი, მებაღეობის, მევენახეობის სამეცნ.-კვლ. ინ-ტი, ექსპერ. მორფოლ. ინ-ტი, ზოოტექ.-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინ-ტი, საქართვე. სოფლის მეურნეობის მეცნ. აკად., საქართვე. სუბტროპ. მეურნ. ინ-ტი, ქუთ. ტექ. უნ-ტი, სუბტროპ. ნაყოფის შენახვისა და გადამამუშავების სამეცნ.-კვლ. და ექსპერ.-საკონსტრუქტორო ინ-ტი (ბათუმი). საკოორდინაციო საბჭოს ძირითადი ამოცანაა რესპ. სოფლის მეურნეობაში არსებული ნარჩენების ბაზაზე უნარჩენო ბიოტექნოლ. დამუშავება.

გ. კვესიტაძე
